ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

№ 134 (20830) — პარასკევი, 8 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საქართველოს კომპარტია თავისი ისტორიის გარდამტეხ ეტაპზეა. ათწლეულების მანძილზე მომხდარი დეფორმაციები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე რეალიები, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ბევრი მოძველებული ნორმის, წარმოდგენისა და ღირებულების გადაფასება, რეალურად არსებული პოლიტიკური პლურალიზმი მას პასუხსაგები არჩევანის წინაშე აყენებს.

აანალიზებს რა წარსულს, საქართველოს კომპარტია ნათლად განასხვავებს ერთმანეთისაგან ყოველივე იმას, რაც პატიოსანი, თავდადებული შრომით შეუქმნია მრავალ თაობას, იმისაგან, რაც პიროვნების კულტმა, ეოლუნტარიზმმა, უძრაობამ, ჰუმანისტური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და იდეალების უფიქვეშ გათელვამ წარმოშვა.

საქართველოს კომპარტია აღიარებს და გმობს თავისი ისტორიის მანძილზე დაშვებულ შეცდომებსა და გადახრებს. მიიჩნევს, რომ მხოლოდ სრული და მკაცრი სიმართლე, 20-იანი წლებიდან დაწყებული აპრილის ტრაგედიით დამთავრებული მოვლენების ობიექტური შეფასება მისცემს საშუალებას, საზოგადოების თვალში საქართველოს კომპარტია თავისი არსით არ აღიქმებოდეს იმ ანტიჰუმანური ძალების უშუალო მემკვიდრედ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტოტალიტარიზმის, მასობრივი რეპრესიებისა და უკანონობის, ავტორიტარულ-ბიუროკრატიული, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მექანიზმის შექმნას.

საქართველოს კომპარტიის ახლანდელი პროგრამული მიზნებისათვის მიუღებელია ერთი კლასის დიქტატურისადმი მისწრაფება, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სტერეოტიპები. საქართველოს კომუნისტები გმობენ იდეოლოგიურ დოგმატიზმს, სხვათა შეხედულებებისა და იდეოლოგიის შეუწყნარებლობას, პრომიტიულ წარმოდგენებს საკუთრების ფორმებზე, ბატონკაცურ დამოკიდებულებას გარემოსადმი, ხალხის ეროვნული ინტერესების, კულტურულ-ისტორიული ღირებულებების, ინტელექტუალური პოტენციალის უგულებელყოფას.

საქართველოს კომუნისტური პარტია შეუძლებლად მიიჩნევს თავისი ამჟამინდელი სტატუსის უცვლელად შენარჩუნებას. იგი გადაჭრით უარყოფს ცენტრალური ორგანოების ყოველგვარ დიქტატს, გადაწყვეტილებების თავსმოხვევას, რომელიც არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის იდეას, ერის თვითგამორკვევის უფლებას. ის დგას განახლების, თვითგამორკვევის, პარტიული სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის პოზიციაზე.

საქართველოს კომპარტია ყველა პროგრესულ მოძრაობასთან, პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის იდეის ერთგულია; ის, აერთიანებს რა ერის მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და მწარმოებლურ ძალებს, რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენლებს, კვლავ ყველაფერს იღონებს სამოქალაქო და ეროვნული თანხმობის შენარჩუნებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის.

I. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲝ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1. საქართველოს კომუნისტური პარტია საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა, სადაც რეალურად იქნება უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები, საერთოსახალხო ინტერესების უზენაესობა ნებისმიერ სხვა, მათ შორის პარტიულ ინტერესებთან შედარებით.

საქართველოს კომპარტია მოქმედებს საკუთარი საპროგრამო და ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ფარგლებში, პოლიტიკური პლურალიზმისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმთა მრავალგვარობის, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის თანასწორი უფლებებისა და პასუხისმგებლობის პირობებში. თავის მოღვაწეობაში პარტია ეყრდნობა რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს, ამ პროცესებზე ზემოქმედებს კონსტიტუციური და დემოკრატიული საშუალებებით, მონაწილეობს სახალხო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, უწყობს ხელს მათში თავისი წარმომადგენლების არჩევას.

2. საპროგრამო მიზნების განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობად საქართველოს კომპარტიას მიაჩნია სათანადო კონსტიტუციური მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ზნეობრივი ამოცანების ეტაპობრივი, კომპლექსური გადწყვეტის საფუძველზე სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.

3. საქართველოს კომპარტიის იდეურ-თეორიული საფუძველია დემოკრატიული სოციალიზმის შესახებ განახლებადი მეცნიერული მეხედულებები, რომელიც ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, ხალხის ზნეობრივი იდეალების შესაბამისი იქნება. ამავე დროს საქართველოს კომპარტიას არსებული სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციები ურყეად და სამარადჟამოდ არ მიაჩნია, არამედ ცდილობს მათს კრიტიკულ გაანალიზებას, აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს საზოგადოებრივი განვითარების კარდინალურ პრობლემებზე.

4. საქართველოს კომპარტია სხვა რესპუბლიკათა კომპარტიებთან ურთიერთობას წარმართავს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპებით ნაციონალურ საწყისებზე; იგი დამოუკიდებლად ამყარებს და ავითარებს კავშირებს სხვა პროგრესულ პარტიებთან როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

5. საქართველოს კომპარტიისათვის არ არსებობს უფრო მაღალი ჰუმანისტური მიზანი, ვიდრე ის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუქმნას პიროვნების მაქსიმალური თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის აუცილებელი პირობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში თავისუფალი მონაწილეობის, მოქალაქეობრივი და ეროვნული ღირსების, გრძნობის განმტკიცების გზით. საქართველოს კომუნისტური პარტია თავისი პროგრამული ამოცანების გადაწყვეტისას თვალისწინებს საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციას, რომელიც დღენიადაგ მდიდრდება რეალური ცხოვრებისეული პრაქტიკის პროცესში. მას მომავალი საზოგადოების იდეალად მიაჩნია ადამიანური ურთიერთობების ჰარმონიაზე, სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების შეხმატკბილებაზე დაფუძნებული საზოგადოება.

6. საქართველოს კომპარტიას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უცილობელ პირობად მიაჩნია მისი ტერიტორიის მთლიანობა და საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს განუყოფელი ნაწილია მის ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური ფორმირებანი.

პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში, დამოუკიდებლად გაუძღვება თავის ყველა საშინაო საქმეს, არ დაუშვებს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების, მათ შორის მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების ინტერესების შელახვას, უარყოფს ნებისმიერი გარეშე ძალის ჩარევას საშინაო ეროვნულ-დამოკიდებულებებს მოწესრიგებაში.

პარტია ყოველმხრივ უჭერს მხარს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას, რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის, სხვა იურიდიული აქტების შემუშავებას ადგილობრივი თვითმმართველობის სრული განხორციელებისათვის, რომელიც შეესაბამება როგორც ქართველი ხალხის, ასევე რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ინტერესებს.

7. საქართველოს კომპარტია ებრძოლ უჭერს მსოფლიოს ქვეყნებთან საგარეო-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კავშირების მუდმივ გაფართოებას, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური, სავაჭრო, სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ საკითხებმა, ასე რომ ეხებიან დღეს რესპუბლიკის ეროვნებებს, ამოცანებმა, რომელთა წარმატებული გადაწყვეტა შეუქმნის საიმედო გარანტიებს მის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 5 ივნისს გამართული თათბირის დღის წესრიგი. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საქართველოს საოლქო და ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირის დაწყების წინ მის მონაწილეებს აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს თბილისში ბაგირგზაზე 1 ივნისს მომხდარი ავარიის მიზეზების გამოკვლევა, როგორია დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. წარმოადგინეს რა ამ ეტაპზე არსებული ფაქტები და დამადასტურებელი საბუთები, მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბეგლარ მახარაშვილმა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნეს, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ მიზეზების გარკვევისა და ტრაგედიის დამნაშავეთა დასადგენად, უბედურებაში მოხვედრილთათვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გასაწევად. დაადასტურეს, რომ კატასტროფის ადგილას დაიღუპა 13 კაცი, კიდევ ხუთი გარდაიცვალა საავადმყოფოში. ამჟამად კლინიკებში მყოფი 42 დაშავებულიდან, ხუთი კაცი, რომელთა შორის ოთხი ბავშვია, ჯერჯერობით მძიმე მდგომარეობაშია. ყოველ ღონეს ხმარობენ დანარჩენთა გამოსაჯანსაღებლად. რესპუბლიკის მშრომელები, საზოგადოებრიობა, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ტრაგედია, გულწრფელ თანაგრძნობას იჩენენ, თავიანთ სისხლს და სხვა დახმარებას სთავაზობენ.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის მოსამზადებელი მუშაობისა და სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებთან მუშაობის გეგმების, რესპუბლიკის კომპარტიის პროგრამის და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტის განხილვის წესის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ ნუგზარ საჯაიამ.

იდეოლოგიური მუშაობის მიმდინარე საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ გივი თალაკვაძემ. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება თავის ინფორმაციაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა გივი ბაკურაძემ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე.

როგორც აღინიშნა, რესპუბლიკის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების სიმწვავე, სირთულე და წინააღმდეგობრიობა გვიკარნახებს, რომ უაღრესად საჭიროა ხელახლა გავიაზროთ ბევრი მიდგომა პარტიული შუშაობის შინაარსისადმი, ფორმებისა და მეთოდებისადმი, ახლა მთელ იმედს ვამყარებთ გულახდილობასა და საჯაროობაზე, ადამიანებთან კონსტრუქციულ დიალოგზე, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაზე, რომელიც ხელს შეუწყობენ ძალთა კონსოლიდაციას ხალხის ძირეული ინტერესებისათვის. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა, რომლის დროს კომუნისტებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების თვისებრივი განახლების საქმეში.

საგნობრივი სჯა-ბაასი გაიმართა თათბირზე დიდი და დაძაბული შუშაობის გამო, რომელიც ყრილობის ინიციატივით ახლა წარმოებს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის კონსტიტუციური მექანიზმის შექმნისათვის. ითქვა, რომ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში მუშაობდა საკანონმდებლო აქტების, სხვა სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების მთელი პაკეტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ გზებს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს რესპუბლიკამ სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამასთან დეტალურად სწავლობენ და ითვალისწინებენ თვალსაჩინო მეცნიერთა, სპეციალისტთა და ექსპერტთა, საზოგადო მოღვაწეთა, შემოქმედი ინტელიგენციის, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და გაერთიანების წარმომადგენელთა წინადადებებს, რომელთა მიზანია წარსულში არსებული დეფორმაციების დაძლევა, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების ეროვნული ფორმის შექმნა.

მთელი რიგი კანონპროექტები უკვე მზად არის. პირველი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი — „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის პროექტი უკვე გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ამის დამატებით მომზადებულია კიდევ ორ ათეულზე მეტი კანონპროექტი, რომელთა მიუღებლად შეუძლებელი იქნება პრაქტიკულად სუვერენიტეტისაკენ წინსვლა, მათ შორისაა საკუთრების, მიწისა და მიწათსარგებლობის, იჯარისა და საიჯარო ურთიერთობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, მოსახლეობის სოციალურ უფლებათა დაცვის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური სფეროების სახელმწიფო მართვის შესახებ და სხვა კანონთა პროექტები, რომლებშიც დეტალურად არის დამუშავებული ეკონომიკის განვითარების, არახელსაყრელი ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებისაგან მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები. უკვე მთავრდება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციებისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის საკანონმდებლო აქტების პროექტები. ახალი, სუვერენული საქართველოს აშენებაში, სამოქალაქო თანხმობისა და ეროვნული მშვიდობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სსრ მოქალაქეობის, ალტერნატიული სამხედრო სამსახურის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის ჰუმანიზაციის შესახებ კანონპროექტების შემუშავება.

თათბირმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა უმოკლეს ვადაში მომზადდეს ესოდენ პრინციპული დოკუმენტები. მეორე მხრივ, პრინციპული სჯა-ბაასი მიმდინარეობდა იმაზე, რომ აქ დაუშვებელია ზერელე მიდგომა. **თითოეული ეს კანონპროექტი მალე გამოქვეყნდება ფართო განხილვისათვის. შემდეგ, შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ისინი შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად, და ბოლოს, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის დასამტკიცებლად. დოკუმენტების ასეთი ეტაპობრივი გაჯანსაღება, მათი გულახდილი და საჯარო განხილვა აგდგილებს შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო სრულად გავაერთიანოთ მთელი ინტელექტუალური პოტენციალი, არამედ ყოველმხრივ მოვემზადოთ თვით სესიისათვის, რომელიც ივლისის მეორე ნახევარში გაიმართება.** ამოცანა ის არის, რომ სესიაზე მიღებულთ ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ნამდვილად გამოხატავენ მთელი ხალხის აზრებსა და პრინციპებს, ნებას, უზრუნველყოფენ საქართველოს სრული სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენისა და განმტკიცების კონსტიტუციურ გზას.

ჯერ კიდევ თავისი ყრილობისათვის მზადების პერიოდში საქართველოს კომპარტიამ წამოაყენა ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს. ყრილობისწინა დისკუსიის შედეგი გახდა ალტერნატიულ საფუძველზე შემუშავებული საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტი. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყრილობის დელეგატთა შენიშვნები და წინადადებანი, **ახლა გამოგვაქვს განსახილველად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.** ძალზე საჭიროა, **ყველაფერი ისე გავაკეთოთ, რომ გაიმართოს ნამდვილად საქმიანი, კონსტრუქციული აზრთა გაზიარება პროექტის საპროგრამო დებულებებზე, რომლებიც შემდგომში საქართველოს კომპარტიის საქმიანობის პრინციპული საფუძველი ან გახდეს.** უნდა შევეცადოთ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, რომ ამ დებულებების ანალიზი, გულახდილი საუბრები და დისკუსიები მათ გარშემო გვეხმარებოდეს იმაში, რომ თითოეულს გავაცნოთ რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის სულისკვეთება, განწყობა. ცხადია, უნდა უზრუნველყოთ პროექტისათვის შემოსული ყველა წინადადების გულდასმით შეგროვება და სისტემატური განზოგადება, რათა სარედაქციო კომისიამ მოამზადოს ამ დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და იგი გამოიტანოს ყრილობის მეორე ეტაპის განსახილველად.

პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუ არ გვექნება ეკონომიკური დამოუკიდებლობა. როგორც ცნობილია, ყრილობაზე შექმნილმა ერთ-ერთმა კომისიამ უნდა მოამზადოს და დელეგატებს მისი მუშაობის მეორე ეტაპზე მოახსენოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული პროგრამა. გასაგებია, რომ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ახლანდელ პირობებში ასეთი პროგრამა განსაკუთრებულ ღრმა და ყოველმხრივ დამუშავებას მოითხოვს, აღინიშნა თათბირზე. არსებითად ხომ გარდაქმნები, რომლებიც უნდა განვახორციელოთ, განსაზღვრავენ არა მარტო ახლანდელი, არამედ მომავალი თაობების ცხოვრების ყაიდასა და ბედს. სწორედ ამიტომაც ასე საჭიროა დეტალურად გავერკვიოთ ყოველივე იმაში, რაც ახლა ხდება. აღინიშნა, რომ ახალი ეკონომიკური კონცეფციის ფორმირების დაჩქარებასთან ერთად, უნდა გამოვიმუშაოთ საკუთარი დამოკიდებულება საკავშირო დონეზე შექმნილი დოკუმენტებისადმი, დავამუშაოთ მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა. საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მკაფიოდ უნდა მოვნიშნოთ რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპები, კოორდინაცია გავუწიოთ და დავაპროგნოზოთ ამ რთული პროცესის მიმდინარეობა როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ისე ადგილებზეც. სწორედ ამ მიზნით ახლახან მოეწყო შეხვედრები „მრგვალ მაგიდასთან“ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წამყვან სპეციალისტებთან და ხელმძღვანელებთან, რომლებთაც დაინყო ეკონომიკურ ქვეგანაყოფებთან და სამსახურებთან, რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერ ეკონომისტებთან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხის შესახებ კონსულტაციებისა და აზრთა გაზიარების სერია. კერძოდ, იგი გაგრძელდება ფინანსთა სამინისტროში, საბანკო სისტემაში, სადაც უნდა განვიხილოთ ფართო წრის პრობლემები, რომლებსაც, მთელი რიგი სპეციფიკური პირობების გამო, შეიძლება წააწყდეს საქართველოს ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში. ანალოგიურად უნდა წარიმართოს მუშაობა რეგიონებშიც, ადგილებზეც. თითოეულმა პარტიულმა კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა თითოეულმა საბჭომ უნდა იპოვოს თავიანთი ადგილი ამ საარსებო მნიშვნელობის საქმეში.

ყრილობის შუალედურ პერიოდში მოთათბირებამ და კონსულტაციებმა მის დელეგაციებთან, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში — მუშებთან და გლეხებთან, ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან შეიძლება შეიტანოს და კიდეც უნდა შეიტანოს ბევრი რამ კომუნისტთა ფორუმის სხვა კომისიების მუშაობაშიც, რომელთა საქმიანობის კოორდინაცია აგრეთვე სარედაქციო კომისიას დაეკისრა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს კომუნისტთა გაწნოგადებული და გამოკვეთილი აზრი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის, რესპუბლიკის კომპარტიის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის შესახებ წინადადებათა დამუშავება, ყრილობის რეზოლუციისა და სხვა დოკუმენტების მომზადება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი მოსაზრებანი საქართველოს კომპარტიისაგან სკკპ XXVIII ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატთა პოზიციის ფორმირების საქმეში.

თათბირის მონაწილეებს გააცნეს მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომლებიც საზოგადოებრიობას ეწუხებს. კერძოდ, ლაპარაკი იყო მესხეთელ თურქებზე, იმაზე, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გავრცელდა ხმები, თითქოს ისინი აპირებდნენ თვითნებურად გადმოლახონ საქართველოს საზღვარი, რათა მის ტერიტორიაზე დასახლდნენ. **სრულიად გარკვეულად აღინიშნა: მთავრობის, ისევე როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკის მოსახლეობის პოზიცია ამ საკითხში უცვლელი რჩება — რესპუბლიკას არა აქვს არავითარი შესაძლებლობა დაკმაყოფილოს ეგრეთ წოდებული მესხეთელი თურქების მოთხოვნები, ამასთან ამგვარი ნაბიჯი სერიოზული ეთნოკრიზისების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს.** ამიტომ, ყოველგვარი პროვოკაცია თავიდან რომ აიცილონ, რესპუბლიკური ორგანოები საზოგადოებრიობასთან ერთად მუდმივ კონტროლს უწევენ ვითარებას, ამყარებენ კონტაქტებს ქვეყნის იმ რეგიონების ხელმძღვანელებთან, სადაც ამჟამად ცხოვრობენ ამ ხალხის წარმომადგენლები.

* * *

6 ივნისს გაიმართა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის რესპუბლიკის კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის შემუშავებელი კომისიის სხდომა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

Ⅰ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲝ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

Ⅰ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲗ

საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებანი

(დასასრული)

კონსულო და სხვა წარმომადგენლობების შექმნას, გაერთიანებული ერებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მიღებას.

8. საქართველოს კომპარტიას სოციალური პოლიტიკის საფუძვლად მიაჩნია მფარველობა ადამიანი, ოჯახი, ბავშვობა, ოჯახი, ბავშვობა, ოჯახი, ბავშვობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ

სსრ კავშირის მოქალაქეობა განსაზღვრავს პირისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივ პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც გამოიხატება მათი ორმხრივი უფლება-მოვალეობებით.

სსრ კავშირში ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სახით პასუხისმგებელია სსრ კავშირის მოქალაქეთა წინაშე, ხოლო სსრ კავშირის მოქალაქე პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქალაქეობა სსრ კავშირში

სსრ კავშირში დაწესებულია საკავშირო მოქალაქეობა, მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე იმავდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა. ავტონომიური რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე იმავდროულად იმ მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ავტონომიური რესპუბლიკა, და სსრ კავშირის მოქალაქეა.

მუხლი 2. თანასწორი მოქალაქეობა

სსრ კავშირის მოქალაქეობა თანასწორია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის მისი შეძენის საფუძვლებისა და ნებისმიერი რესპუბლიკის მოქალაქეობისადმი კუთვნილების მიუხედავად.

სსრ კავშირის მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი წარმომობა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილება, სქესი, განათლება, ენა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, პოლიტიკური და სხვაგვარი მრწამსი, საქმიანობის სახეობა და ბინათა, საცხოვრებელი ადგილი, მოცემულ ადგილას მცხოვრების დრო და სხვა გარემოებანი.

სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას უზრუნველყოფენ სსრ კავშირი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მუხლი 3. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ შედგება სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული ამ კანონისა და მის შესაბამისად გამომავალი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ.

მუხლი 4. სსრ კავშირის მოქალაქეობისადმი კუთვნილება

სსრ კავშირის მოქალაქენი არიან:

პირნი, რომლებსაც სსრ კავშირის მოქალაქეობა ჰქონდათ ამ კანონის ძალაში შესვლის დღისათვის;

პირნი, რომლებმაც სსრ კავშირის მოქალაქეობა შეიძინეს ამ კანონის შესაბამისად;

მუხლი 5. მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა

მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონით.

მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ნებისმიერი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობს მისი მოქალაქეობის თანასწორი უფლებებით და აკისრია მათი თანასწორი მოვალეობანი.

მუხლი 6. ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობა

ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობა განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონით.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებისმიერი მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქე სარგებლობს მისი მოქალაქეების თანასწორი უფლებებით და აკისრია მათი თანასწორი მოვალეობანი.

მუხლი 7. მოქალაქეობის შენარჩუნება დაკარგვისების და განქორწინების დროს

სსრ კავშირის მოქალაქის დაქორწინება უცხოეთის მოქალაქეობის მქონე პირზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, აგრეთვე ასეთი ქორწინების მოშლა არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის შეცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 8. სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთა მიერ

სსრ კავშირის მოქალაქის საზღვარგარეთ ცხოვრება არ იწვევს სსრ კავშირის, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობის შეწყვეტას.

მუხლი 9. სახელმწიფოს მიერ სსრ კავშირის მოქალაქეთა დაცვა საზღვარგარეთ

სსრ კავშირის მოქალაქენი საზღვარგარეთ სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით.

საბჭოთა სახელმწიფო, მისი დიპლომატიური წარმომადგენლობანი და საკონსულო დაწესებულებანი, აგრეთვე მათი თანამდებობის პირნი ზრუნავენ ყველა ზომებს, რათა სსრ კავშირის მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სრული მოცულობით ისარგებლონ მათთვის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებული ყველა უფლებით, რომლის მონაწილეებიც არიან სსრ კავშირი ან მოკავშირე რესპუბლიკა და ადგილსამყოფელი ქვეყანა, და საერთაშორისო ჩვეულებებით მინიჭებული ყველა უფლებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიცვან მათი უფლებები და კანონით დასაცავი ინტერესები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები საბჭოთა მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღსადგენად.

მუხლი 10. უცხოეთის სახელმწიფოსთვის სსრ კავშირის მოქალაქის გადაცემის დაუშვებლობა

სსრ კავშირის მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს უცხოეთის სახელმწიფოს.

მუხლი 11. სსრ კავშირის მოქალაქის უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი კუთვნილების არცნობა

იმ პირის მიმართ, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეა, არ იცნობა უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი კუთვნილება.

მუხლი 12. მოქალაქეობის არმქონე პირნი

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი, რომლებიც არ არიან სსრ კავშირის მოქალაქენი და არა აქვთ უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი თავიანთი კუთვნილების დამამტკიცებელი საბუთები, ითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.

II. სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენა

მუხლი 13. საბჭოთა მოქალაქეობის შეძენის საფუძვლები

სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენა ხდება:

1. დაბადებით;
2. საბჭოთა მოქალაქეობის მიღების შედეგად;
3. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე;
4. ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მუხლი 14. იმ ბავშვთა მოქალაქეობა, რომელთა მშობლები სსრ კავშირის მოქალაქენი არიან

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის სსრ კავშირის მოქალაქე იყო, წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეს მიუხედავად იმისა, დაიბადა იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე თუ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 15. იმ ბავშვთა მოქალაქეობა, რომელთა ერთ-ერთი მშობელი სსრ კავშირის მოქალაქეა

თუ მშობლებს განსხვავებული მოქალაქეობა აქვთ, და ერთი მათგანი ბავშვის დაბადების მომენტისათვის სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ბავშვი სსრ კავშირის მოქალაქეა:

1. თუ იგი დაიბადა სსრ კავშირის ტერიტორიაზე;
2. თუ იგი დაიბადა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მშობლებს აქვთ ერთ-ერთ მათგანს ამ დროს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

თუ მშობლების მოქალაქეობა განსხვავებულია და მათგან ერთ-ერთი ბავშვი დაბადების მომენტისათვის სსრ კავშირის მოქალაქე იყო, და თუ ამ დროს ორივე მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, მაშინ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მშობლების შეთანხმებით, რომელიც გამოიხატება წერილობითი ფორმით.

ბავშვი, რომლის ერთი მშობელი ბავშვის დაბადების მომენტისათვის სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე ან უცხოი პირი, სსრ კავშირის მოქალაქეობის მიუხედავად.

ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია სსრ კავშირის მოქალაქე, 14 წელს მიუღწეველი ბავშვი ხდება სსრ კავშირის მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

მუხლი 16. სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენა მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილების მიერ

სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბავშვი სსრ კავშირის მოქალაქეა.

მუხლი 17. იმ ბავშვთა მოქალაქეობა, რომელთა მშობლები ცნობილი არ არიან

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ბავშვი, რომლის არც ერთი მშობელი არ არის ცნობილი, სსრ კავშირის მოქალაქეა.

მუხლი 18. სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღება

უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი შეიძლება მათი შუამდგომლობით მიღებულ იქნენ სსრ კავშირის მოქალაქეობაში ამ კანონის შესაბამისად მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი წარმომშობა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილება, სქესი, განათლება, ენა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, პოლიტიკური და სხვაგვარი მრწამსი, საცხოვრებელი ადგილი.

სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღების შუამდგომლობა უარყოფილ იქნება, თუ ამის მოშუამდგომელ პირი მოუწოდებს სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული საბჭოთა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წყობილების ძალადობრივ დამხობას ან შეცვლას, ახორციელებს საქმიანობას, რომელიც ვნებს სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მოსახლეობის ჯანმრთელობას ან ზნეობას, პროპაგანდას უწევს ტერორს, რასობრივ და ეროვნულ გამორჩეულობას;

III. სსრ კავშირის მოქალაქეობის შეწყვეტა

მუხლი 20. სსრ კავშირის მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლები

სსრ კავშირის მოქალაქეობა წყდება:

1) სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;

2) სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვის შედეგად;

3) სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის შედეგად;

4) სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით;

5) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების მიხედვით.

სსრ კავშირის მოქალაქეობის შეწყვეტა იწვევს მოკავშირე რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობის შეწყვეტას.

მუხლი 21. სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა ნებადართულია პირის შუამდგომლობით ამ კანონით დადგენილი წესით.

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლაზე შეიძლება გასვლის შუამდგომლობის აღმძვრელ პირს უარი ეთქვას, თუ მას აქვს შეუსრულებელი მოვალეობანი სახელმწიფოს წინაშე ან ქონებრივი მოვალეობანი, რომლებთანაც დაკავშირებულია მოქალაქეთა ან სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა არსებითი ინტერესები.

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა არ დაიშვება, თუ გასვლის მოშუამდგომელ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში როგორც განსასჯელი ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული და შესრულებას დაქვემდებარებული სასამართლოს განაჩენი, ან თუ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან პირის გასვლა ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს.

მუხლი 22. სსრ კავშირის მოქალაქეობის დაკარგვა

სსრ კავშირის მოქალაქეობა იკარგება:

1) თუ პირი შევიდა უცხოეთის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, უშიშროების სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოებში;

2) თუ საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები პირი არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე არასაპატიო მიზეზით ხუთი წლის განმავლობაში;

3) თუ სსრ კავშირის მოქალაქეობა შეძენილია აშკარად ცრუ ცნობების ან ყალბი დოკუმენტების წარდგენის შედეგად.

სსრ კავშირის მოქალაქეობა დაკარგულად ითვლება იმ დროიდან, როდესაც მოცემულ ფაქტს რეგისტრაციაში გაატარებენ ამ კანონის 35 და 36 მუხლებში აღნიშნული სრულუფლებიანი სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 23. სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევა

სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს გამონაკლის შემთხვევაში საზღვარგარეთ მცხოვრები პირის მიმართ, თუ მან ჩაიდინა მოქმედება, რომელიც არსებითს ზიანს აყენებს სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს ან სახელმწიფო უშიშროებას.

პირისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევას არ მოსდევს შედეგად მისი მეუღლისა და შვილების მოქალაქეობის შეცვლა.

IV. ბავშვების მოქალაქეობა მშობელთა მოქალაქეობის შეცვლისა და შვილად აყვანის დროს

მუხლი 24. ბავშვთა მოქალაქეობის შეცვლა მშობელთა მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში

მშობელთა მოქალაქეობის შეცვლისას, რომლის შედეგად ორივე სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ან ორივე გადის სსრ კავშირის მოქალაქეობიდან, შესაბამისად იცვლება მათი შვილების მოქალაქეობაც, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 14 წელი.

თუ ცხობილია ბავშვის ერთ-ერთი მშობელი, მაშინ ამ მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას შესაბამისად იცვლება ბავშვის მოქალაქეობა, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი.

მუხლი 25. სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება ბავშვისათვის, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა

თუ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვის ორივე ან ერთადერთი მშობელი გადის სსრ ცავშირის მოქალაქეობიდან და ამასთან არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, რომელსაც დაწესებული აქვს სსრ კავშირის მოქალაქეთა მეურვეობა ან მზრუნველობა, მაშინ ბავშვი მშობლების, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას.

მუხლი 26. ბავშვების მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენა ერთ-ერთი მშობლის მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენის შემთხვევაში

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთი მშობელი, ხოლო მეორე — უცხოეთის მოქალაქედ რჩება, ბავშვს შეუძლია შეიძინოს სსრ კავშირის მოქალაქეობა ამის შესახებ იმ მშობლის შუამდგომლობით, რომელმაც სსრ კავშირის მოქალაქეობა შეიძინა.

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთი მშობელი, ხოლო მეორე მოქალაქეობის არმქონე პირად რჩება, მაშინ სსრ კავშირის ტერიტოოიაზე მცხოვრები ბავშვი სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

თუ სსრ კავშირის მოქალაქე ხდება ერთი მშობელი, ხოლო მეორე მოქალაქეობის არმქონე პირად რჩება, მაშინ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ბავშვმა შეიძლება შეიძინოს სსრ კავშირის მოქალაქეობა ამის შესახებ იმ მშობლის შუამდგომლობით, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეობას იძენს.

მუხლი 27. ბავშვებისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი გადის სსრ კავშირის მოქალაქეობიდან

თუ ერთი მშობელი გადის სსრ კავშირის მოქალაქეობიდან, ხოლო მეორე სსრ კავშირის მოქალაქე რჩება, ბავშვი ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას. იმ მშობლის შუამდგომლობით, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გადის, ასევე ბავშვს შეიძლება დაერთოს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის ნება.

მუხლი 28. ბავშვთა მიერ სსრ კავშირის მოქალაქეობის შეძენა შვილად აყვანის შემთხვევაში

სსრ კავშირის მოქალაქის მიერ შვილად აყვანილი ბავშვი — უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

უცხოეთის მოქალაქე ბავშვი, რომელიც შვილად აყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთ-ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

ბავშვი — მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც შვილად აყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთ-ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება.

ბავშვი — უცხოეთის მოქალაქე, რომელიც შვილად აყავთ მეუღლეებს, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა — ხოლო მეორე უცხოეთის მოქალაქე, სსრ კავშირის მოქალაქე ხდება მშვილებელთა შეთანხმებით.

მუხლი 29. ბავშვებისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნება შვილად აყვანის შემთხვევაში

ბავშვი — სსრ კავშირის მოქალაქე, რომელიც შვილად აიყვანეს უცხოელმა მოქალაქეებმა ან იშვილეს მეუღლეებმა, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, ხოლო მეორე — უცხოეთის მოქალაქე, ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას. მშვილებელთა შუამდგომლობით ასევე ბავშვს შეიძლება დაერთოს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის ნება.

ბავშვი — სსრ კავშირის მოქალაქე, რომელიც შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან იშვილეს მეუღლეებმა, რომელთაგან ერთი სსრ კავშირის მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი, ინარჩუნებს სსრ კავშირის მოქალაქეობას.

მუხლი 30. ბავშვთა მოქალაქეობის შეცვლისას მათი თანხმობის აუცილებლობა

14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა მოქალაქეობის შეცვლა მათი მშობლების მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში, აგრეთვე შვილად აყვანის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ბავშვების თანხმობით, ამ კანონის 38 მუხლით გათვალისწინებული წესით.

V. საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანოები

მუხლი 31. საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანოები

სსრ კავშირში ორგანოებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს მოქალაქეობის საკითხებზე, წარმოადგენენ სსრ კავშირის პრეზიდენტი, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმები ან უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირნი.

მუხლი 32. სსრ კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილება

სსრ კავშირის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ:

სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიიღონ საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებმაც შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართეს სსრ კავშირის პრეზიდენტს;

სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიიღონ უცხოეთის მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი და სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოიყვანონ საბჭოთა მოქალაქენი, თუ მათი მოქალაქეობის მიმართ წინათ შედგა გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად;

აღადგინონ პირნი სსრ კავშირის მოქალაქეობაში;

გამოიყვანონ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საბჭოთა მოქალაქენი, რომლებმაც შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართეს სსრ კავშირის პრეზიდენტს;

ჩამოართვან სსრ კავშირის მოქალაქეობა.

მოქალაქეობის საკითხებს, რომლებიც მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს შეეხება, წყვეტს სსრ კავშირის პრეზიდენტი შესაბამისი რესპუბლიკის აზრის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის პრეზიდენტს ადამიანის უფლებების ან სსრ კავშირის ინტერესების დაცვის მიზნით უფლება აქვს განსახილველად მიიღოს სსრ კავშირის მოქალაქეობის ნებისმიერი საკითხი.

მუხლი 33. მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფოს თანამდებობრივი პირის უფლებამოსილება

მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი ამ კანონის 32 მუხლით გათვალისწინებული სსრ კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოთა მოქალაქეობის შემდეგ საკითხებზე, რომლებიც ეხება:

იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობაში და ამის შედეგად სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღებას, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობაში და ამის შედეგად სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღებას, რომლებმაც შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართეს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის ტერიტორიაზეც სურთ მათ დასახლდნენ.

მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ სსრ კავშირის მოქალაქეთა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლისა და ამის შედეგად სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობიდან და ამის შედეგად სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ იმ სსრ კავშირის მოქალაქეთა გასვლას, რომლებმაც შესაბამისი შუამდგომლობებით მიმართეს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობდნენ ისინი სსრ კავშირიდან წასვლამდე;

მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ამის შედეგად სსრ კავშირის მოქალაქეობის შენარჩუნებას ამ კანონის 25 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 34. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სხბჭოს პრეზიდიუმის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებებს ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობის საკითხთა გამო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც იდება შესაბამის მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის.

მუხლი 35. შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილება

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა სამმართველოები, განყოფილებები:

იღებენ სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრები პირებისაგან განცხადებებს საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებზე და საჭირო დოკუმენტებთან ერთად განსახილველად უგზავნიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ამ ორგანოებს ასევე ეგზავნებიან ამ ორგანოებიდან მიღებული ბრძანებანი, ინფორმაციები;

ინიციატივის წესით ამზადებენ ამ ორგანოებისადმი ინფორმაციებს, ინფორმაციებს

სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ

(დასასრული)

საპატიო მიზეზების არსებობისას შინაგან საქმეთა ორგანოები, საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობანი და საკონსულო დაწესებულებანი ვალდებული არიან გაიფორმონ მოქალაქეობის განცხადების შესახებ მასალები სხვა პირთა მეშვეობით გადაცემული ან ფოსტით მიღებული განცხადებებთან.

მუხლი 42. დასკვნები მოქალაქეობის საკითხებზე შეტანილ განცხადებათა გამო

შინაგან საქმეთა ორგანოს ან საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობას თუ საკონსულო დაწესებულებას, რომლებიც მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების გაფორმებას ეწევა, გამოაქვს მის გამო თავისი მოტივირებული დასკვნა.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი თავიანთ დასკვნებს მოქალაქეობის საკითხებზე მიღებულ განცხადებათა თუ წარდგინებათა გამო, და სხვა საჭირო მასალებს გზავნიან სსრ კავშირის პრეზიდენტის სახელზე.

მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, საგარეო საქმეთა სამინისტროები და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტები მოქალაქეობის საკითხებზე მიღებულ განცხადებათა გამო გამოტანილ დასკვნებს და სხვა საჭირო მასალებს უგზავნიან შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს ან უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირებს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები წარუდგენენ სსრ კავშირის პრეზიდენტს, შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ან უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის პირს მოტივირებულ დასკვნებს ყოველი განმცხადებლის საბჭოთა მოქალაქეობაში მიღების ან მასში აღდგენის მიზანშეწონილების შესახებ, მათ შორის, რესპუბლიკაში მისი შრომითი, საბინაო და სხვაგვარი მოწყობის შესახებ.

კომისიას უფლება აქვს გამოითხოვოს მის წარმოებაში არსებული საქმის მიხედვით მასალები და დოკუმენტები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც წარუდგენენ საჭირო ინფორმაციას კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

კომისიას პრეზიდენტის განსახილველად შეაქვს წინადადებანი ყოველი განცხადების ან წარდგინების თაობაზე.

კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის მონაწილე კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 44. სსრ კავშირის პრეზიდენტის მიერ მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღება

სსრ კავშირის პრეზიდენტი მოქალაქეობის საკითხებზე გამოსცემს ბრძანებებს.

ცვლილებანი მოქალაქეობაში დგება სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემის დღეს, თუ ბრძანებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელახალი განცხადება მოქალაქეობის საკითხზე განიხილება, როგორც წესი ერთ წელიწადში ამ საკითხზე წინა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საქმისათვის არსებითი გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, რომლებიც არ იცოდა და ვერ ეცოდინებოდა განმცხადებელს, ხელახალი განცხადება შეიძლება განხილულ იქნეს უფრო ადრეც.

მუხლი 45. მოქალაქეობის საკითხებზე შეტანილი განცხადების განხილვის ვადა

მოქალაქეობის საკითხებზე შეტანილი განცხადების თუ წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს.

VII. სსრ კავშირის მოქალაქეობის საკითხებზე

გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულება

მუხლი 46. მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებელი ორგანოები

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ პირთა მიმართ მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულება ეკისრებათ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა სამმართველოებს, განსაოფილებებს, ხოლო საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთა მიმართ, — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროებს, საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს.

მუხლი 47. პასპორტებისა და სამინადრო მოწმობების გაცემა

პირებს, რომლებმაც კანონით დადგენილი წესით შეიძინეს საბჭოთა მოქალაქეობა, შინაგან საქმეთა ორგანოები ან საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობანი ანდა საკონსულო დაწესებულებები გადასცემენ სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტებს. იმ ბავშვებს, რომლებსაც 16 წელი არ შესრულებიათ, დოკუმენტებში შეუტანენ ჩანაწერს სსრ კავშირის მოქალაქეობისადმი მათი კუთვნილების შესახებ.

სსრ კავშირში მცხოვრებ პირებს, რომლებსაც შეწყვეტილი აქვთ საბჭოთა მოქალაქეობა, შინაგან საქმეთა ორგანოები აძლევენ საბინადრო მოწმობას.

მუხლი 48. კონტროლი მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი

მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს სსრ კავშირის პრეზიდენტის მოქალაქეობის საკითხთა კომისია, აგრეთვე მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღები სხვა ორგანოები.

VIII. მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ

გადაწყვეტილებათა გასაჩივრება

მუხლი 49. მოქალაქეობის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება

გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოქალაქეობის საკითხებზე მიიღეს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმებმა ან უმაღლესმა სახელმწიფო თანამდებობის პირებმა, შეიძლება გასაჩივრდეს სსრ კავშირის პრეზიდენტთან.

საჩივრები მოქალაქეობისადმი კუთვნილებისა და მოქალაქეობის დაკარგვის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო წარდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის სახელზე.

მუხლი 50. მოქალაქეობის საკითხებზე თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების გასაჩივრება

მოქალაქეობის საკითხთა შესახებ განცხადების მიღებაზე უსაფუძვლო უარის თქმა, განცხადების განხილვის ვადების დარღვევა, აგრეთვე თანამდებობის პირთა სხვა არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც არღვევს მოქალაქეობის საქმეთა განხილვის წესს, და მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა შესრულების წესს, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონით დადგენილი წესით დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში.

IX. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მუხლი 51. საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენება

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დაწესებულია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 23 მაისი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. სამოქმედოდ იქნეს შემოღებული სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ 1991 წლის 1 იანვრიდან.

2. სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ გამოიყენება მართლურთიერთობის მიმართ, რომელიც წარმოიშობა დასახელებული კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1991 წლის 1 იანვრიდან.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან:

1978 წლის 1 დეკემბრის სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1978 წ., №49 მუხ. 816);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1978 წლის 1 დეკემბრის დადგენილება „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1978 წ., №49, გვ. 817.;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 15 ივნისის ბრძანებულება „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“. (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1979 წ., №25, გვ. 436);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 6 იანვრის ბრძანებულება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმის სსრ კავშირის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1981 წ., №33, პ. 3);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 13 აპრილის ბრძანებულება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წესის შესახებ დებულების დამატების თაობაზე“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმი, 1987 წ., №61, პ. 63).

4. „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეობის კანონმდებლობის შესაბამებლად ისინი ან ეწინააღმდეგება დასახელებულ კანონს.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1991 წლის 1 იანვრამდე სსრ კავშირის მთავრობის აქტები შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ და უზრუნველყოს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ მათი ნორმატიული აქტების დადასინჯვა ან გაუქმება, რომლებიც ეწინააღმდეგება დასახელებულ კანონს.

6. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 23 მაისი.

გუშინ უნივერსიტეტში

ერროვნული მთლიანობისთვის

მკითხველმა უკვე იცის, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს სტუდენტთა უვადო შიმშილობა, რომლებმაც მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელოვანი მრავალი საკითხის გადაჭრას.

6 ივნისს უნივერსიტეტის საარტო დარბაზში მოეწყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა-დიალოგი ეროვნული კონგრესის საკოორდინაციო ცენტრის წევრთა, ეროვნული პოლიტიკური პარტიების ზოგიერთ წარმომადგენელთან, რომელსაც შიმშილობის აქციის მონაწილენიც ესწრებოდნენ.

გაიმართა საუბარი იმ გზებსა და მეთოდებზე, რომლებსაც მიმართავენ და იყენებენ საკოორდინაციო ცენტრის წევრები.

შეხვედრისას თავიანთი აზრი და პოზიცია გამოთქვეს სტუმრებმაც და მასპინძლებმაც. გამოიკვეთა, რომ დღეს ეროვნული მოძრაობისათვის მთავარია მთლიანობა. მოშიმშილეთა აქციის მიზანიც სწორედ ეს არის: მოიძებნოს გამოსავალი, აღდგეს ერთიანობა საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შორის, რათა ერთიანი ძალისხმევით მივაღწიოთ სანუკვარ მიზანს.

ამას გარდა, შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს თავისუფალი პოლიტიკური არჩევითი ორგანოს, ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ, აგრეთვე მოსალოდნელი სიძნელეების დაძლევაზე, საქართველოში ამჟამად არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე და სხვა არაანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე.

შეხვედრაზე მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ მოიწვიონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტს მოშიმშილეთა მიმართვაში აღძრულ საკითხებს.

შემდეგ უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მოშიმშილე სტუდენტთა აქციას მხარი დაუჭირა თბილისის ზოგიერთმა ორგანიზაცია-დაწესებულებამ.

იმავე დღეს თბილისში, მთავრობის სახლთან მოშიმშილეთა მხარდასაჭერად უვადო შიმშილობა გამოაცხადეს „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

7 ივნისს მოშიმშილეებს შეუერთდნენ საქართველოს სახალხო ფრონტისა და მწვანეთა პარტიის ზოგიერთი წევრი.

გუშინ უნივერსიტეტში აქციის მონაწილეებს შეხვდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გუმბარიძე. შემდეგ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა თხოვნით შეხვედრა გაგრძელდა უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ აუდიტორიაში. გაიმართა საქმიანი, პრინციპული საუბაასი. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევის თარიღის დასადგენად, აგრეთვე მოშიმშილეთა მმართველის მუხლების განსახილველად, აკაკი ბაქრაძის წინადადებით გამოიყო სპეციალური კომისია, რომელიც დღეს დაიწყებს მუშაობას.

„კომუნისტის“ ინფორმაციის განყოფილება.

ტრაგედიის შემდეგ

როდემდის?!

გუშინ გლოვის დღე იყო საქართველოში. ძაძით შემოსილი, დახრილი ეროვნული დროშები ფრიალებდა ადმინისტრაციული თუ საცხოვრებელი სახლების ფასადებზე. სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები გაისმოდა რადიოთი თუ ტელევიზიის ეკრანიდან, ჩაბნელებული იყო თეატრებისა და საკონცერტო დარბაზები. დედაქალაქი მწუხარებით ეთხოვებოდა 1 ივნისს თბილისში რუსთაველის მოედან-მთაწმინდის საბაგირო გზაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთ და თანაუგრძნობდა განსვენებულთა ოჯახებს. მსხვერპლი კი თვრამეტი ადამიანის სიცოცხლე იყო. მათგან ოთხი ბავშვია.

აი ისინიც: ბექა სალუქვაძე— 5 წლის, მირანდა ვერულეიშვილი — 5 წლის, თამაზ თარხნიშვილი — 12 წლის, თემურ ჯინჭველაძე — 13 წლის, ზვიად კუტალაძე — 16 წლის, დარეჯან ასლანიშვილი — 18 წლის, ალოვსატ ორუჯევი — 18 წლის, ილხან მიხაილოვი — 19 წლის, ტარგან აბდულაევი — 19 წლის, გივი გოზალოვი — 19 წლის, სვეტლანა გულბანი — 23 წლის, მაია ხუციშვილი— 26 წლის. ქეთევან ციცავა — 33 წლის, ვლადიმერ ვახტანგიშვილი — 34 წლის, მიხეილ დანგაძე — 39 წლის, გურამ ფირცხალავა— 45 წლის, ასმათ ზედგენიძე — 59 წლის. ნატალია გაბეცაძე-ანდრიევსკაია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ტრაგედიის შედეგად დაშავებულთა გადასარჩენად პირველსავე დღეს შეიქმნა ოპერატიული შტაბი ჯანდაცვის მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით. მაშინვე ქალაქის ყველა სამკურნალო დაწესებულებებში დარაზმეს რესპუბლიკის ცნობილი სპეციალისტები — რეანიმატორები, ნეიროქირურგები, ტრავმატოლოგები, ნევროლოგები, რომლებიც დღედაღამ მუშაობდნენ ადამიანთა გადასარჩენად.

სამკურნალო დაწესებულებებში დაშავებულნი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილნი, მათთვის მომარაგებულია ყველა საჭირო მედიკამენტი, მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ უბედურების დღესვე ასობით თბილისელი მივიდა სტაციონარებში და შესთავაზა გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად საკუთარი სისხლი. ასეთი დონორების წყალობით ბევრმა დაშავებულმა დიდი შვება იგრძნო.

როგორც შტაბის წევრმა, ჯანდაცვის ორგანიზაციის და კადრებთან მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ლადო გიორგაძემ გვაცნობა, დაშავებულთა დასახმარებლად საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი წარმოების ერთ-ერთი ფირმის პრეზიდენტმა დოლიძემ დაზარალებულთა დასახმარებლად პირველსავე დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩვენთვის შეიძინა 10 000 დოლარის მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა. უფასოდ გამოგვიგზავნეს მედიკამენტები სსრ კავშირ-ინგლისის ერთობლივი საწარმოს „უნიფარმის“ ხელმძღვანელებმა. დიდად გვეხმარებიან რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციები.

დღეისათვის ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებში მკურნალობენ 41 დაზარალებულს. ბავშვთა მე-6 საავადმყოფოში ორი პატარა წევს, რომელთა მდგომარეობა უკვე გაუმჯობესებულია. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრში 16 კაცი მიიყვანეს კომბინირებული ტრავმით, აქედან ორი უკვე გაეწერა. ამჟამად აქ 11 ბავშვი და სამი მათი პედაგოგია, რომლებიც ახალციხიდან იყვნენ თბილისში ექსკურსიაზე ჩამოსულნი.

ქალაქის №1 საავადმყოფოში ორი დასახიჩრებულია მძიმე მდგომარეობაში. ერთი ბავშვია — კიდურების მოტეხილობით, მეორე — 30 წლისაა, მასაც მძიმე ტრავმა აქვს. 6 ავადმყოფი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია.

ბავშვთა რესპუბლიკურ კლინიკაში ორი ავადმყოფი წევს. ერთს გაუკეთეს ოპერაცია, მეორე შედარებით თავს უკეთ გრძნობს. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მე-9 საავადმყოფოს რეანიმაციაში 7 ავადმყოფია მძიმე მდგომარეობაში. აქედან სამი ბავშვია. 6 დასახიჩრებული საავადმყოფოს განყოფილებებში წევს.

ექიმები ყველაფერს ღონობენ, ოღონდ განკურნონ დაშავებულნი, ისინი ვინც ენდო სახელმწიფო ტრანსპორტს და მთაწმინდის დათვალიერება სცადა, მაგრამ ბაგირი გაწყდა და ხალხი დაიღუპა და დასახიჩრდა. საკითხავია, როდემდე გაგრძელდება ასეთი სავალალო მდგომარეობა, როდემდე უნდა გვეშინოდეს ახალ-ახალი მოულოდნელი ავარიებისა თუ აფეთქებისა, განა დრო არ არის დავუფიქრდეთ, რატომ გახშირდა უბედური შემთხვევები. იმიტომ ხომ არა, რომ თითოეული ჩვენგანი არ ვაკეთებთ სამუშაო უბანზე ჩვენს საქმეს! დაუდევრობა, უდისციპლინობა, გულარხეინობა ხომ არ არის ამ ტრაგედიების მიზეზი?!

ლარისა ხუბულური.

* * *

სურათზე: თბილისის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების დოცენტი ი. დიასამიძე და მედდა მ. ქარჩაული სინჯავენ 35 წლის ახალციხელ გიორგი რუსიას, რომელიც ავარიის დროს დაშავდა.

ედუარდ ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“).

გიორგი შარაშიძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი გიორგი (ზიზო) ბეჟანის ძე **შარაშიძე.**

გ. შარაშიძე დაიბადა 1931 წელს თბილისში. 1956 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს თეთრი წყაროს რაიონული საავადმყოფოს ექიმ-ნევროპათოლოგად, საქართველოს პროფსაბჭოს რწმუნებულ ექიმად, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 1967 წელს გ. შარაშიძე დაწინაურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციუზრუნველყოფისა და სპორტის სექტორის გამგედ. შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-2 კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1974 წლიდან გარდაცვლებამდე მე-7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამმეში გაწეული მუშაობისათვის გ. შარაშიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო, არაერთხელ აურჩევიათ თბილისის საქალაქო და ოქტომბრის რაიონული საბჭოების დეპუტატად.

გ. შარაშიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო; თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფო.

ნ. ა. ჟვანიას დამკრძალავი კომისიისაგან

სამოძალაკო პანაშვიდი გაიმართება 10 და 11 ივნისს, 8 საათზე განსვენებულის ბინაში (ფალიაშვილის, 43); გამოსვენება 12 ივნისს 4 საათზე.

ა. ს. ბეჟაურის დამკრძალავი კომისიისაგან

ა. ს. ბეჟაურის სამოძალაკო პანაშვიდი გაიმართება 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაზე ი. ნიკოლაძის 7, მე-3 სადარბაზო.

გამოსვენება — 9 ივნისს, დღის 4 საათზე.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, რაიონის მშრომელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, პარტიის დუშეთის რაიკომის უფროსი პირველი მდივანი

ალექსი სიმონის ძე ბეჟაური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მსოფლიო ჩემპიონატი

მეოთხე ჯგუფი

მონაწილეობდა მსოფლიოს 9 ჩემპიონატში (1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1974, 1978, 1982 და 1986 წლებში). საუკეთესო შედეგები: მსოფლიო ჩემპიონი 1954 და 1974 წლებში; მეორე ადგილი 1996, 1982 და 1986 წლებში. მესამე ადგილი 1970 წელს, მეოთხე — 1958 წელს. სულ ნაკრებში 132 ფეხბურთელი გამოვიდა. ყველაზე მეტი შეხვედრა უვე ზეელრმა ჩაატარა (21 მატჩი 1958, 1962, 1966 და 1970 წლებში). საუკეთესო სნაიპერია გ. მიულერი (14 გოლი 1970 და 1974 წლებში).

მწვრთნელი **ფრანც ბეკენბაუერი:** — ამ ჩემპიონატს მკვეთრად გამოხატული ფავორიტი არ ჰყავს. ასეთივე სიტუაცია იყო ოთხი წლის წინათაც. ასე რომ, ფავორიტებში ხუთი-ექვსი, ან რვა ნაკრებიც კი შეიძლება დავასახელოთ. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონები — არგენტინელები, ბრაზილიელები, იტალიელები, ჰოლანდიელები, ინგლისელები. მათ გარდა მე ჩემს გუნდსაც და საბჭოთა ფეხბურთელებსაც ვანიჭებ უპირატესობას.

იუგოსლავია

მონაწილეობდა მსოფლიოს 7 ჩემპიონატში (1930, 1950, 1954, 1958, 1962, 1974 და 1982 წლებში). საუკეთესო შედეგები: მეოთხე ადგილები 1930 და 1962 წლების ჩემპიონატებში. სულ ნაკრებში გამოვიდა 85 მოთამაშე. ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს შეკულარიცმა (9 მატჩი 1958 და 1962 წლებში) და შურიაგმა (9 მატჩი 1974 და 1982 წლებში). იუგოსლავიელებიდან ყველაზე მეტი ბურთი (4 გოლი 1962 წელს) ურკოვიჩმა გაიტანა.

მწვრთნელი **ივიცა ოსიმი:** — ჯგუფში ორი ძლიერი მეტოქე გვყავს. ეფიქრობ, ჩვენი ნაკრები საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ გთამაშობის შემდეგ წრეში გავიდეს. კარგად ვიცნობ გფრ-ს გუნდსაც. მასთან უარყოფთი ბალანსი გვაქვს. კოლუმბიელებს ორჯერ შევხვდით და ორჯერვე მოვუგეთ. არაბთა გაერთიანებული საამრიოების გუნდთან კი არასოდეს გვითამაშია. სამხრეთამერიკულ და ევროპულ ფეხბურთს თუ შევადარებთ, სადღეისოდ ევროპულია უფრო ძლიერი. ზოგს რომ ჰკითხო, იტალიელებს თითქმის განაღდებული აქვთ ჩემპიონობა. ამ აზრს არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები.

არაბთა გაერთიანებული საემიროები

ამ ქვეყნის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ უთამაშია.

ყოფილი მწვრთნელი **მარიო ეორეე ლობო ზაგალო:** — არაბთა გაერთიანებული საემიროების გუნდის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლა უდიდესი სენსაცია იყო.

ყოფილი მწვრთნელი **ბერნარდ ბლაუტე:** არაბებს გფრ-ს ნაკრებთან ძალიან გაუჭირდებათ. ეს ხომ მსოფლიო კლასის, ნამდვილი სატურნირო მებრძოლია. იუგოსლავიის ნაკრებიც მაღალი კლასის ოსტატებისაგან, ნამდვილი ინდივიდუალისტებისაგან შედგება. აი, კოლუმბიის ნაკრები კი გამოცანაა.

მწვრთნელი **კარლოს ალბერტო.** რიგით მესამე სპეციალისტი, რომელიც წლეულს გუნდს სათავეში ჩაუდგა, ინტერვიუსაგან თავს იკავებს. მენეჯერი **პანდუნ ბრუკი:** — მიზანს უკვე მივაღწიეთ. ფინალში მოვხვდით. ახლა თავისუფლად შეგვიძლია ვითამაშოთ. მაგრამ ისე, რომ გულშემატკივრებს იმედები არ გავუცრუოთ.

კოლუმბია

მონაწილეობდა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ნაკრებში გამოვიდა 15 მოთამაშე, სხვებზე ხმირად — აჩეროსი, კოლა, ენეკვერია, გონზალესი, კლინგერი, ლოპესი და სანჩესი (სამ-სამი მატჩი).

მწვრთნელი **ფრანსისკო მატურანა:** — ერთობ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. გასაგებია, რომ ფავორიტებად გფრ-სა და იუგოსლავიის ნაკრებს მიიჩნევენ. არც ჩვენი გუნდი აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. ჩვენ შეგვიძლია 16 ნაკრებს შორის მოვხვდეთ, შემდეგ კი ვნახოთ...

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

რესპუბლიკური ფესტივალი

6 ივნისს, თბილისის თოჯინების ქართულ სახელმწიფო თეატრში გაიხსნა თოჯინების სახელმწიფო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალი. ეს საქართველოს კულტურის სამინისტროს და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ერთობლივი ღონისძიებაა; ასეთი ხასიათის ფესტივალი ჩვენში პირველად იმართება.

დღეს საქართველოში ყმაწვილთა ესთეტიკურ აღზრდას ექვსი სახელმწიფო თოჯინების თეატრი ემსახურება, მათ რიცხვს მალე შეემატება ახალციხისა და გურჯაანის სახელმწიფო თეატრები. მომავალში გათვალისწინებულია თოჯინების თეატრების ქსელის გაფართოება.

საქართველოში თოჯინურ ხელოვნებას ღრმა ფესვები და მდიდარი ტრადიციები აქვს, თეატრალურ ინსტიტუტში არის სპეციალური კათედრა, რომელიც მიზნობრივ ჯგუფებს ამზადებს თოჯინების თეატრებისათვის, მომავალი სარეჟისორო და სამსახიობო კადრების აღზრდას ემსახურებიან თოჯინური ხელოვნების ცნობილი ოსტატები გივი სარჩიმელიძე, შოთა ცუცქირიძე, ანზორ ჩხიკვაძე და სხვები...

თბილისის თოჯინების ქართული თეატრი წარმატებით არაერთხელ გამოსულა საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე, იგი მრავალი წლითა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ორგანიზაციის უნიმის წევრია.

თოჯინების სახელმწიფო თეატრების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალში ხუთი კოლექტივი მონაწილეობს. ფესტივალი გაიხსნა ქუთაისელთა სპექტაკლით — მ. გონაშვილის პიესით „ცია, ოცნება და ციკა“. 8 ივნისს ბათუმის თეატრი წარმოადგენს მ. ტოტოჩავას პიესას „თქმულება ამირანზე“, 9 ივნისს ს. მიხალკოვის „სამი გოჯით“ წარსდგება მაყურებლის წინაშე თბილისის თოჯინების რუსული თეატრი; 10 ივნისს თოჯინების ქართული თეატრი უჩვენებს ლ. ვოპეისკაიას და გ. კრუჩლოვას „ატატრა წერო და საფრთხობელას“. ფესტივალი დაიხურება 11 ივნისს რუსთაველთა სპექტაკლით ვ. ორლოვის „ოქროს წიწილა“. იმავე დღეს მოეწყობა საფესტივალო სპექტაკლების განხილვა.

„კომუნისტის“ კორ.

გფრ

მონაწილეობდა მსოფლიოს 9 ჩემპიონატში (1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1974, 1978, 1982 და 1986 წლებში). საუკეთესო შედეგები: მსოფლიო ჩემპიონი 1954 და 1974 წლებში; მეორე ადგილი 1996, 1982 და 1986 წლებში. მესამე ადგილი 1970 წელს, მეოთხე — 1958 წელს. სულ ნაკრებში 132 ფეხბურთელი გამოვიდა. ყველაზე მეტი შეხვედრა უვე ზეელრმა ჩაატარა (21 მატჩი 1958, 1962, 1966 და 1970 წლებში). საუკეთესო სნაიპერია გ. მიულერი (14 გოლი 1970 და 1974 წლებში).

მწვრთნელი **ფრანც ბეკენბაუერი:** — ამ ჩემპიონატს მკვეთრად გამოხატული ფავორიტი არ ჰყავს. ასეთივე სიტუაცია იყო ოთხი წლის წინათაც. ასე რომ, ფავორიტებში ხუთი-ექვსი, ან რვა ნაკრებიც კი შეიძლება დავასახელოთ. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონები — არგენტინელები, ბრაზილიელები, იტალიელები, ჰოლანდიელები, ინგლისელები. მათ გარდა მე ჩემს გუნდსაც და საბჭოთა ფეხბურთელებსაც ვანიჭებ უპირატესობას.

იუგოსლავია

მონაწილეობდა მსოფლიოს 7 ჩემპიონატში (1930, 1950, 1954, 1958, 1962, 1974 და 1982 წლებში). საუკეთესო შედეგები: მეოთხე ადგილები 1930 და 1962 წლების ჩემპიონატებში. სულ ნაკრებში